



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„გ ა მ ტ კ ი ც ე ბ“
სოციალური სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

[Handwritten signature]

ზაზა შეყილაძე

„21“ 12“ 2015 წელი

ეგზ. N2

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

2014 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული საანგარიშგებო
პერიოდისთვის კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგების აუდიტის
ანგარიში *ლ 70100*

შინაარსი

შემოკლებები	3
ზოგადი ინფორმაცია.....	4
დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ	6
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ბუღალტრულ ანგარიშგებასთან დაკავშირებით.....	6
აუდიტორის პასუხისმგებლობა.....	6
პირობითი მოსაზრების საფუძველი.....	7
არაფინანსური აქტივები.....	7
1.დაურეგისტრირებელი ქონება	7
2.არასწორი კლასიფიკაცია	8
3.ინვენტარიზაციის შედეგად აღმოჩენილი ჩამოსაწერი ქონება.....	8
4.პირველკლასელთა „ნოუთბუქების“ აღრიცხვა	8
ფინანსური აქტივები და ვალდებულებები.....	9
1.სამინისტროს სისტემის ერთეულებს შორის წარმოშობილი დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების აღრიცხვიანობის შეუსაბამობა.....	9
შემოსავლები	11
ხარჯები	12
1. არასწორი კლასიფიკაცია	12
მაშტაბის შეზღუდვა.....	12
1. არაფინანსური აქტივები	12
1.1.ინვენტარიზაცია	12
2. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები.....	12
2.1.დებიტორული დავალიანებები	12
2.2კრედიტორული დავალიანებები	13
3. შემოსავლები	14
3.1.ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები.....	14
პირობითი მოსაზრება.....	16
სხვა მნიშვნელოვანი საკითხები	16
1.ანგარიშგების ფორმებს შორის შეუსაბამობა	16
2.სახელმწიფო სასწავლო გრანტი	17
3.წინასწარ დანიშნული დანამატები	17
4.დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები	17
5. ელექტრონული პლატფორმის შექმნა	19
6. ბიუჯეტის დაგეგმვა და შესრულება	20
7. შესყიდვები.....	23
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმები	26

შემოკლებები

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო - სამინისტრო.
2. სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო - ინფრასტრუქტურის სააგენტო.
3. სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს - ილიანური.
4. სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის - სამედიცინო უნივერსიტეტი
5. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - სახელმწიფო. უნივერსიტეტი.
6. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - ტექნიკური უნივერსიტეტი.
7. უნივერსიტეტების ბაზები, რომელშიც ხდება თითოეული სტუდენტის მიხედვით ფინანსური მონაცემების ასახვა, სწავლის ღირებულების დარიცხვები ასევე სტუდენტების მიერ სწავლის საფასურის გადახდები - სტუდენტების მონაცემთა ბაზა.

ზოგადი ინფორმაცია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო სამთავრობო დაწესებულებაა, რომელიც მინდობილ სფეროში სახელმწიფო მმართველობის უზრუნველსაყოფად მოქმედებს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების, საქართველოს კანონების, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და მისი დებულების საფუძველზე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მოწოდებულია, საზოგადოების მონაწილეობით ჩამოაყალიბოს თანამედროვე და ინოვაციური საგანმანათლებლო და სამეცნიერო გარემო. ეს გარემო ეფუძნება არჩევანის თავისუფლებისა და თანამშრომლობის, სამართლიანი კონკურენციისა და თანაბარი შესაძლებლობების, სამოქალაქო ერთიანობისა და კულტურული თვითმყოფადობის პატივისცემის პრინციპებს და ხელს უწყობს ადამიანებს, შეიძინონ და განავითარონ სოციალური წარმატებისთვისა და თვითრეალიზებისთვის საჭირო ცოდნა და უნარები.

სამინისტროს დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი. იგი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ანგარიშვალდებულია საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივი გამოყენებისათვის

სამინისტრო ანგარიშვალდებულია მთავრობის წინაშე და ასრულებს კანონით გათვალისწინებულ ან მთავრობისა და პრემიერ-მინისტრის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ ამოცანებს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საბიუჯეტო კოდია 32 00. ის წარუდგენს ფინანსთა სამინისტროს კვარტალურ და წლიურ ნაერთ ბუღალტრულ ანგარიშგებას. აღნიშნულ ანგარიშგებაში გაერთიანებულია შემდეგი სტრუქტურული ერთეულების ფინანსური ინფორმაცია:

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და მისი აპარატი;
- სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო;
- სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი;
- სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური;
- სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი;
- სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი;
- სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი;
- სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა;
- სსიპ მეცნიერებათა ეროვნული აკადემია;
- სსიპ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია;
- სსიპ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;
- სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი;
- სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი;
- სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;
- სსიპ ბათუმის საზღვაო აკადემია;
- სსიპ ზუგდიდის სახელმწიფო ინსტიტუტი;
- სსიპ გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი;

- სსიპ პროფესიული კოლეჯი მერმისი;
- სსიპ პროფესიული კოლეჯი ახალი ტალღა;
- სსიპ პროფესიული კოლეჯი იკაროსი;
- სსიპ პროფესიული კოლეჯი განთიადი;
- სსიპ პროფესიული კოლეჯი ჰორიზონტი;
- სსიპ პროფესიული კოლეჯი პრესტიჟი;
- სსიპ პროფესიული კოლეჯი სპექტრი;
- სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო (MCA - GEORGIA)¹;
- საჯარო სკოლები სულ 2084;
- სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციები.

ბიუჯეტი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2014 წლის საბიუჯეტო პარამეტრები, გაწეული საკასო და ფაქტობრივი ხარჯები წარმოდგენილია ქვემოთ მოცემული ცხრილის სახით:

ათას ლარებში

დასახელება	დამტკიცებული გეგმა	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	სხვაობა
1	2	3	4	5	6	7	8
ხარჯები	674,617	698,474	690,053	687,972	687,972	671,298	(16,674)
არაფინანსური აქტივების ზრდა	79,683	51,009	50,878	48,555	48,555	-	
ვალდებულებების კლება	0	4,640	4,591	4,586	4,586	-	

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ აღებული ვალდებულება 745,522.0 ათასი ლარია და გეგმის 98,9 %-ია (რესურსი 8,601.0 ათასი ლარი), ხოლო გადახდა განხორციელებულია 741,113 ლარზე, რაც 13,010.1 ლარით ნაკლებია გეგმაზე და მის 98,3 % -ს შეადგენს.

დაზუსტებულ ბიუჯეტსა და საკასო ხარჯს შორის სხვაობა მოცემულია ცხრილში:

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2014 წლის დაზუსტებული ბიუჯეტი	2014 წლის საკასო ხარჯი	სხვაობა
32 00	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	754,122,750	741,112,675	13,010,075
32 01	განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა	15,710,725	15,733,463	(22,738)
32 02	ზოგადი განათლება	436,623,414	436,040,137	583,277
32 03	პროფესიული განათლება	24,708,357	24,582,450	125,907
32 04	უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევების პროგრამა	127,210,065	134,674,729	(7,464,664)
32 05	საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება	118,415,189	115,200,665	3,214,524
32 06	ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს	31,455,000	14,881,230	16,573,770

¹ 2012 წლის 31 მაისის N441 ბრძანებულებით შეიქმნა აღნიშნული სსიპი და მის მაკონტროლებელ ორგანოდ განისაზღვრა საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ვერ მოგვაწოდა ოფიციალური ინფორმაცია თუ რატომ მოხდა 2014 წელს სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო (MCA - GEORGIA)-ის ფინანსური ანგარიშგების გაერთიანება განათლებისა და მეცნიერების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კონსოლიდირებული(ნაერთი) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ბალანსს 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ფორმა N1) და მასთან დაკავშირებულ ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯების (ფორმა N2), არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების (ფორმა (N2-1), ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების (ფორმა N2-2), წმინდა ღირებულების (ფორმა N3), ეკონომიკური საქმიანობით მიღებული სახსრების (ფორმა N4), არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის (ფორმა N5), ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებებისა (ფორმა N5-1) და არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვა (ფორმა N6) შესახებ ანგარიშგებებს მოცემული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდისათვის.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ბუღალტრულ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

სამინისტროს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის წარდგენაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციისა და 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ N364 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ბუღალტრულ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს, აუდიტორი განსაზღვრავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი უტყუარი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის. შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას. ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია მოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

არაფინანსური აქტივები

1. დაურეგისტრირებელი ქონება

სამინისტროს კონსოლიდირებული (ნაერთი) ბალანსის ანგარიშზე - „არაფინანსური აქტივები“ საწყის და საბოლოო ნაშთში ასახულია შესაბამისად 34,423,478 და 34,090,300 ლარის ღირებულების შენობა-ნაგებობები და არაწარმოებული აქტივები, რომელზეც მფლობელობის (სარგებლობის) უფლება არ არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში.

საჯარო სკოლების დაურეგისტრირებელი შენობა-ნაგებობები

რაიონი	ისტორიული ღირებულება	ნარჩენი ღირებულება 31.12.2013	2014 წელს დარიცხული ცვეთა	სულ ცვეთა (ნაზარდი ჯამი)	ნარჩენი ღირებულება 31.12.2014
ხულოს მუნიციპალიტეტი	2,118,003	1,845,597	46,343	318,749	1,799,254
საჩხერის მუნიციპალიტეტი	1,374,272	1,309,485	13,742	78,529	1,295,743
მარნეულის მუნიციპალიტეტი	1,630,019	1,247,984	23,328	405,363	1,224,656
ხონის მუნიციპალიტეტი	618,024	574,702	7,421	50,743	567,281
კასპის მუნიციპალიტეტი	250,000	240,327	2,451	12,124	237,876
სამტრედიის მუნიციპალიტეტი	244,891	230,619	1,934	16,206	228,685
წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	168,699	167,264	1,435	2,870	165,829
თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტი	162,902	142,943	2,478	22,437	140,465
ხაშურის მუნიციპალიტეტი	116,878	113,835	1,121	4,164	112,714
დუშეთის მუნიციპალიტეტი	43,094	42,151	426	1,369	41,725
დმანისის მუნიციპალიტეტი	39,823	38,632	995	2,186	37,637
ჯამი	6,766,605	5,953,539	101,674	914,740	5,851,865

უნივერსიტეტებისა და კოლეჯების დაურეგისტრირებელი შენობა-ნაგებობები და არაწარმოებული აქტივები

ორგანიზაცია	ისტორიული ღირებულება	ნარჩენი ღირებულება 31.12.2013	2014 წელს დარიცხული ცვეთა	სულ ცვეთა (ნაზარდი ჯამი)	ნარჩენი ღირებულება 31.12.2014
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი					
შენობა-ნაგებობები	8,692,497	8,566,423	206,311	332,385	8,360,112
არაწარმოებული აქტივები	18,036,549	18,036,549	-	-	18,036,549
პროფესიული კოლეჯი ივაროსი					
შენობა-ნაგებობები	891,001	695,883	8,910	204,028	686,973
პროფესიული კოლეჯი ჰორიზონტი					
შენობა-ნაგებობები	569,756	540,836	5,432	34,352	535,404
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი					
შენობა-ნაგებობები	474,605	352,230	3,451	125,826	348,779
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი					
შენობა-ნაგებობები	718,172	278,018	7,400	447,554	270,618
ჯამი	29,382,580	28,469,939	231,504	1,144,145	28,238,435
სულ დაურეგისტრირებელია	36,149,185	34,423,478	333,178	2,058,885	34,090,300

2. არასწორი კლასიფიკაცია

- ინფრასტრუქტურის სააგენტოს 2014 წლის ბოლოს საბალანსის ანგარიშზე - „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივები“ აღრიცხულია 45,761,911 ლარის ღირებულების დაუმთავრებელი მშენებლობები. რეალურად კი ამ პერიოდისათვის ბოლოს უკვე დასრულებული იყო 36,003,567 ლარის ღირებულების სამუშაოები. აქედან გამომდინარე, აღნიშნული მშენებლობები ნაერთ ბალანსში არასწორედ არის წარმოდგენილი „დაუმთავრებელ ძირითად აქტივებად“, როდესაც ისინი უკვე ექვემდებარებოდა შენობა-ნაგებობად აღიარებას და შემდგომ ამორტიზაციას.
- ინფრასტრუქტურის სააგენტოს „სხვა ძირითადი აქტივების“ ანგარიშის საწყის და საბოლოო ნაშთში ასახულია შესაბამისად, 772,062 და 746,796 ლარის ღირებულების საამშენებლო და სარემონტო სამუშაოების არატიპიური პროექტები. მოცემული პროექტების ძირითადი ნაწილის მიხედვით მშენებლობები დასრულებული იყო 2014 წლამდე, მაგრამ არ მომხდარა პროექტის ღირებულების კაპიტალიზაცია.
- კონსოლიდირებულ ბალანსში (ფორმა N1) მიმდინარე აქტივებში, ანგარიშზე „აქციები და სხვა კაპიტალი“, ილიაუნს აღრიცხული აქვს მის მიერ დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში შეტანილი კაპიტალის ღირებულება 514,181 ლარის ოდენობით, რომელიც წარმოადგენს გრძელვადიან აქტივს და ასახული უნდა იყოს კონსოლიდირებული ბალანსის (ფორმა N1) „გრძელვადიანი აქტივების“ მუხლში.

3. ინვენტარიზაციის შედეგად აღმოჩენილი ჩამოსაწერი ქონება

სამინისტროს დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში 2014 წელს ჩატარებული ძირითადი საშუალებებისა და მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა 2,700 ათას ლარზე მეტი ღირებულების ჩამოსაწერი სასაქონლო მატერიალური ფასეულობები და ძირითადი საშუალებები, აქედან დანაკლისია 60 ათასი ლარი, რომლის უდიდესი ნაწილის ჩამოწერაც 2014 წელსვე არ განხორციელებულა² და ბალანსში (ფორმა N1) აქტივები გაზრდილი ღირებულებით არის წარმოდგენილი.

4. პირველკლასელთა „ნოუტბუქების“ აღრიცხვა

კონსოლიდირებული (ნაერთი) ბალანსის მუხლების, რომელშიც აღრიცხულია პირველკლასელთა ნოუტბუქები, საწყისი და საბოლოო ნაშთი გაზრდილი ღირებულებით არის წარმოდგენილი. 2014 წელს აღნიშნული „ნოუტბუქები“ „გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების“ მუხლში არის აღრიცხული და ანგარიშის საბოლოო ნაშთი გაზრდილია 9,700,000 ლარით, ხოლო 2013 წელს „მანქანა-დანადგარები და ინვენტარის“ ანგარიშზეა აღრიცხული და მისი საწყისი ნაშთი გაზრდილია 14,799,669 ლარით.

პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული ღირებულების პირველკლასელთა „ნოუტბუქები“ 2014 და 2013 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით უკვე დარიცხული³ იყო მოსწავლეებზე, მაგრამ ბალანსიდან არ იყო ჩამოწერილი, ვინაიდან გარკვეული დრო სჭირდება სკოლებიდან მიღება-ჩაბარების

² პასუხისმგებელი პირების განმარტებით, ვინაიდან ინვენტარიზაციის დასრულების ვადასა და ანგარიშგების წარდგენის ვადას შორის მცირედი დროითი განსხვავებაა, ამიტომ ვერ მოხერხდა შესაბამის საანგარიშგებო პერიოდში, კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება ჩამოსაწერი ძირითადი საშუალებების ზუსტი ოდენობის დადგენისთვისა და ჩამოწერისთვის.

³ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 25 მარტის ბრძანების მიხედვით 2014-2015 სასწავლო წლისთვის უნდა მომხდარიყო პირველკლასელთა ნოუტბუქების დარიცხვა, რომელიც იწყება სექტემბერში.

აქტების გადმოგზავნას. შესაბამისად, ბალანსის ფორმა N3-ში წმინდა ღირებულების საწყისი და საბოლოო ნაშთი გაზრდილი ღირებულებით არის წარმოდგენილი. აქტივის აღიარების შეწყვეტა უნდა მოხდეს მასზე კონტროლის დაკარგვისთანავე და უნდა იქნეს ბალანსიდან ჩამოწერილი⁴.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

1. სამინისტროს სისტემის ერთეულებს შორის წარმოშობილი დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების აღრიცხვიანობის შეუსაბამობა

ნაერთი დებიტორ-კრედიტორების რეესტრის შესწავლის შედეგად გამოვლინდა სამინისტროს სისტემის ერთეულებს შორის ცალმხრივად აღრიცხული დავალიანებები კერძოდ:

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 32,569,856 ლარის დებიტორული დავალიანება;

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 10,255,638 ლარის დებიტორული დავალიანება;

2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 575,863 ლარის კრედიტორული დავალიანება .

ვალდებულების წარმოქმნისას მეორე მხარეს, იმავდროულად, მოცემული ვალდებულების ღირებულების ტოლი მოთხოვნა წარმოექმნება.⁵

2. საგადასახადო მუხლები

საგადასახადო ვალდებულებები

კონსოლიდირებული (ნაერთი) ბალანსის (ფორმა #1) მიხედვით საგადასახადო ვალდებულებების საწყისი და საბოლოო ნაშთი შეადგენს შესაბამისად 2,407,194 და 2,320,461 ლარს.

შერჩეული უნივერსიტეტების მიერ წარმოდგენილი საგადასახადო დეკლარაციები⁶ და ბუღალტრულ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან, კერძოდ:

უნივერსიტეტი/საგადასახადო ვალდებულება	ბუღალტრული ბაზა		პირადი ბარათის ნაშთი		სხვაობა	
	ნაშთი 31.12.2013	ნაშთი 31.12.2014	ნაშთი 31.12.2013	ნაშთი 31.12.2014	ნაშთი 31.12.2013	ნაშთი 31.12.2014
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი						
გადასახდელი დღე	3,961	2,549	16,340	-	(12,379)	2,549
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	30,989	67,010	-	26,386	30,989	40,624
სხვა გადასახდელები	44,190	-	814,589	-	(770,399)	-
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი						
გადასახდელი მოგების გადასახადი	-	1,145,778	-	-	-	1,145,778
გადასახდელი დღე	17,611	-	89,294	50,961	(71,683)	(50,961)
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	203,168	-	197,819	-	5,349	-

⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მუხლი 2, პუნქტი „თ“

⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის, მუხლი 28, პუნქტი 5.

⁶ შემოსავლების სამსახურის ვებგვერდის (www.rs.ge) გადასახადების პირადი ბარათების მონაცემები

უნივერსიტეტი/საგადასახადო ვალდებულება	ბუღალტრული ბაზა		პირადი ბარათის ნაშთი		სხვაობა	
	ნაშთი	ნაშთი	ნაშთი	ნაშთი	ნაშთი	ნაშთი
	31.12.2013	31.12.2014	31.12.2013	31.12.2014	31.12.2013	31.12.2014
სხვა გადასახდელები	-	-	16,250	46,585	(16,250)	(46,585)
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი						
გადასახდელი მოგების გადასახადი	798,392	-	-	-	798,392	-
გადასახდელი დღგ	3,494	1,862	-	-	3,494	1,862
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	177,630	125,310	-	-	177,630	125,310
სხვა გადასახდელები	64,619	64,619	-	-	64,619	64,619
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი						
გადასახდელი მოგების გადასახადი	37,400	22,016	141,293	-	(103,893)	22,016
გადასახდელი დღგ	45,016	83,303	-	11,761	45,016	71,542
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	11,583	3,414	-	-	11,583	3,414
სხვა გადასახდელები	6,534	6,111	1,865	-	4,669	6,111
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი						
გადასახდელი მოგების გადასახადი	144,544	363,045	-	-	144,544	363,045
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	316	542	-	-	316	542
სხვა გადასახდელები	150,235	4,211	1,546	-	148,689	4,211
ჯამი	1,739,682	1,889,770	1,278,996	135,693	460,686	1,754,077

რიგ შემთხვევებში კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია საანგარიშგებო პერიოდში გაუცემელ ხელფასებზე დარიცხული საშემოსავლო გადასახადი, რაც არ შეესაბამება “ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ” ინსტრუქციის მოთხოვნებს, რომელიც მიხედვითაც „საშემოსავლო გადასახადის დარიცხვა წარმოებს ანაზღაურების გაცემის მომენტში“.

საგადასახადო აქტივები

კონსოლიდირებული (ნაერთი) ბალანსის (ფორმა #1) მიხედვით საგადასახადო ვალდებულებების საწისი და საბოლოო ნაშთი შეადგენს შესაბამისად 1,350,273 და 2,966,404 ლარს.

შერჩეული უნივერსიტეტების მიერ წარმოდგენილი საგადასახადო დეკლარაციები⁷ და ბუღალტრულ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან, კერძოდ:

უნივერსიტეტი/საგადასახადო აქტივი	ბუღალტრული ბაზა		პირადი ბარათის ნაშთი		სხვაობა	
	ნაშთი	ნაშთი	ნაშთი	ნაშთი	ნაშთი	ნაშთი
	31.12.2013	31.12.2014	31.12.2013	31.12.2014	31.12.2013	31.12.2014
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი						
გადახდილი დღგ	635	90,478	-	82,685	635	7,793
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	38,421	362,389	370,414	340,502	(331,993)	21,887
სხვა საგადასახადო აქტივი	961	1,602	7,186	1,060,814	(6,225)	(1,059,212)
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი						
გადახდილი დღგ	-	1,380,936	-	-	-	1,380,936
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	91,010	-	249,972	299,778	(158,962)	(299,778)

⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის, მუხლი 30, პუნქტი 17.

⁸ შემოსავლების სამსახურის ვებგვერდის (www.rs.ge) გადასახადების პირადი ბარათების მონაცემები.

უნივერსიტეტი/საგადასახადო აქტივი	ბუღალტრული ბაზა		პირადი ბარათის ნაშთი		სხვაობა	
	ნაშთი	ნაშთი	ნაშთი	ნაშთი	ნაშთი	ნაშთი
	31.12.2013	31.12.2014	31.12.2013	31.12.2014	31.12.2013	31.12.2014
სხვა საგადასახადო აქტივი	-	33,977	425	105,495	(425)	(71,518)
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი						
გადახდილი დღგ	-	-	1,436	2,050	(1,436)	(2,050)
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	-	116,645	73,476	355,708	(73,476)	(239,063)
სხვა საგადასახადო აქტივი	2,363	102	32,692	40,014	(30,329)	(39,912)
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი						
გადახდილი დღგ	1,284	1,434	19,997	-	(18,713)	1,434
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	-	-	-	111,653	-	(111,653)
სხვა საგადასახადო აქტივი	48,442	49,639	575,338	776,879	(526,896)	(727,240)
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი						
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	-	-	2,287	75,617	(2,287)	(75,617)
სხვა საგადასახადო აქტივი	100,049	109,112	140,486	165,346	(40,437)	(56,234)
ჯამი	283,165	2,146,314	1,473,709	3,416,541	(1,190,544)	(1,270,227)

უნივერსიტეტების უმეტესობას ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქვს არა საგადასახადო მოგების⁹ მიხედვით დააგარიშებული მოგების გადასახადი, არამედ სააღრიცხვო მოგების მიხედვით (ბალანსის ფორმა #4-ის მიხედვით) დაანგარიშებული მოგების გადასახადი. პასუხისმგებელი პირების განმარტებით, აღნიშნული შეუსაბამობის დაზუსტება აღრიცხვაში ხდება დეკლარაციის წარდგენისას.

შემოსავლები

- **სამედიცინო უნივერსიტეტს** ბალანსის ფორმა N4-ში საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი 554,306 ლარით არის შემცირებული, შესაბამისად შემცირებული ღირებულებით არის წარდგენილი სადაზღვევო მოთხოვნებიც ფორმა N1-ში. პასუხისმგებელი პირის განმარტებით სამედიცინო უნივერსიტეტის გ. ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიური კლინიკის მიერ ვერ ხერხდება ბალანსის ჩაბარების თარიღისთვის საანგარიშგებო წლის ბოლო თვეებში საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამისა და კორპორატიული სამედიცინო დაზღვევის ფარგლებში გაწეული სამედიცინო მომსახურების ანგარიშის წარდგენა სსი „სოციალური მომსახურების სააგენტოსა“ და სადაზღვევო კომპანიებში, ხოლო შემდგომ მათ მიერ ანგარიშგებათა განხილვა (გარკვეულ შემთხვევებში დაკორექტირება) და საბოლოო ურთიერთ-შედარების აქტის გაფორმება.
- **ილიაუნის** საგანმანათლებლო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები, კლასიფიკაციით „საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია“ დარიცხვის პრინციპის შესაბამისად არ ჰქონდა სწორად დაანგარიშებული¹⁰. აღნიშნული უზუსტობის გამო 1,207,971 ლარით შემცირებულია „შემოსავალი საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან“ მუხლი ანგარიშგების ფორმა N4-ში.

⁹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის, მუხლი 9, პუნქტი 4.

¹⁰ სრულად არ იყო გათვალისწინებული სტუდენტების მიერ აღებული დამატებითი კრედიტების შედეგად მიღებული შემოსავალი.

ხარჯები

1. არასწორი კლასიფიკაცია

სსიპ „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის“ დირექტორის 2014 წლის 3 იანვრის N09-01 ბრძანების მიხედვით ცენტრის 19 თანამშრომლებს ყოველთვიურად დაენიშნათ ფიქსირებული დანამატები, თვეში სულ 9,095 ლარის ოდენობით. 2014 წლის განმავლობაში თანამშრომლების დანამატების გაცემა ხდებოდა „შრომის ანაზღაურების“ მუხლის ნაცვლად „საქონელი და მომსახურების მუხლიდან“, როგორც შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება. 2014 წლის განმავლობაში თანამშრომლებზე გაიცა სულ 80,984 ლარის დანამატი, როგორც შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება.

მაშტაბის შეზღუდვა

1. არაფინანსური აქტივები

1.1. ინვენტარიზაცია

შერჩეული კომპონენტების (ორგანიზაციების), რომელთა წილი არაფინანსურ აქტივების მთლიან მოცულობაში შეადგენდა 39%-ს თანხით 480,232,806 ლარი, უმეტესობას არ ჰქონდა 2014 წელს ინვენტარიზაცია ჩატარებული ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანების შესაბამისად. სულ მოცემული პირების მფლობელობაშია შერჩეული არაფინანსური აქტივების 44%-ი და მთლიანი არაფინანსური აქტივების 17%-ი - საბალანსო ღირებულებით - 211,382,449 ლარი. აუდიტორული პროცედურებითაც ვერ შევძელით¹¹ მოგვეპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულება, „არაფინანსური აქტივების“ საბალანსო ანგარიშის საწყისს და საბოლოო ნაშთის სისრულის და არსებობის შესახებ რწმუნების მიღების მიზნით.

2. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

2.1. დებიტორული დავალიანებები

ტექნიკური უნივერსიტეტის კონსოლიდირებული ბალანსის ფორმა N1-ში ანგარიშის „მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ექვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით“ საწყის და საბოლოო ნაშთში ასახულია სტუდენტების სწავლის საფასურის დავალიანება შესაბამისად 13,521,599 და 19,625,132 ლარის ოდენობით, ხოლო სტუდენტების მონაცემთა ბაზაში, სტუდენტების მიხედვით დებიტორული დავალიანებები ფიქსირდება შესაბამისად 15,098,534 და 13,857,353 ლარის ოდენობით. წარმოდგენილი მტკიცებულებებით აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო რწმუნება არსებული სხვაობების მიზეზების თაობაზე.

სახელმწიფო უნივერსიტეტის კონსოლიდირებული ბალანსის ფორმა N1-ში საბალანსო ანგარიშზე „მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ექვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით“ საწყის და საბოლოო ნაშთში ასახულია სტუდენტების სწავლის საფასურის დავალიანება შესაბამისად 252,090 და 341,640 ლარის ოდენობით, ხოლო უნივერსიტეტის სტუდენტების მონაცემთა ბაზის

¹¹ აუდიტის ობიექტზე ჩასატარებელი სამუშაოს მოცულობა და შეზღუდული ადამიანური რესურსი.

მიხედვით, სტუდენტების მიხედვით დებიტორული დავალიანებების ჯამურმა მოცულობამ შესაბამისად შეადგინა 1,384,029 და 1,581,734 ლარი. აღნიშნული სხვაობების ნაწილი, შესაბამისად 1,131,939 ლარის და 1,240,094 ლარი, განპირობებულია იმ გარემოებით, რომ უნივერსიტეტს დებიტორულ დავალიანებად წლის ბოლოს აღიარებული აქვს მხოლოდ უკვე დასრულებულ სემესტრების მიხედვით წარმოშობილი დებიტორულ დავალიანებები და არ არის გათვალისწინებული მიმდინარე, 2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის მიხედვით 2014 წლის ბოლომდე სწავლების მომსახურების მიწოდებით წარმოშობილი მოთხოვნები. ამასთან, არ ხდება საანგარიშგებო წლის ბოლოს თითოეული სტუდენტის მიხედვით დებიტორული დავალიანებების განსაზღვრა, რაც საბოლოოდ იწვევს არასწორი ინფორმაციის ასახვას ბუღალტრულ ანგარიშგებაში.

სამედიცინო უნივერსიტეტის „ფინანსური აქტივების“ საბალანსე ანგარიშის საწყის და საბოლოო ნაშთში ასახულია საუნივერსიტეტო კლინიკების მიხედვით 2009-2011 წლებში წარმოშობილი 981,768 ლარის დებიტორული დავალიანება პაციენტების მიმართ, რომლის სისწორის დადასტურებაც აუდიტის ჯგუფმა ვერ მოახერხა¹². ასევე, მოცემული კლინიკების მიხედვით ირიცხება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართ 1996-2008 წლებში წარმოშობილი 1,597,894 ლარის დებიტორული დავალიანება, რომლიდანაც დებიტორი აღიარებს მხოლოდ 676,401 ლარს. სამედიცინო უნივერსიტეტის 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბალანსზე აღრიცხული აქვს 901,925 ლარის დებიტორული დავალიანება სს „სამედიცინო დაზღვევის ჯგუფი არქიმედეს გლობალ ჯორჯიას“ მიმართ, რომლის მიმართ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის (გაკოტრების) საქმისწარმოება. სააღრიცხვო ჩანაწერების ხასიათიდან¹³ გამომდინარე, აუდიტის ჯგუფმა ვერ შეძლო საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულების მოპოვება, საგანმანათლებლო საქმიანობის მიხედვით „ფულად სახსრებზე და მათ ექვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით“ წარმოშობილი მოთხოვნების სიზუსტის თაობაზე რწმუნების მიღების მიზნით.

ილიაუნის სააღრიცხვო ჩანაწერების ხასიათიდან¹⁴ გამომდინარე, აუდიტის ჯგუფმა ვერ შეძლო საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულების მოპოვება საგანმანათლებლო საქმიანობის მიხედვით „ფულად სახსრებზე და მათ ექვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით“ წარმოშობილი მოთხოვნების სიზუსტის თაობაზე რწმუნების მიღების მიზნით.

2.2. კრედიტორული დავალიანებები

სახელმწიფო უნივერსიტეტს საბალანსე ანგარიშზე „სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები“ ასახულია სტუდენტების სწავლის საფასურის წინასწარი გადახდებით წარმოშობილი კრედიტორული დავალიანების საწყისი და საბოლოო ნაშთი, შესაბამისად 10,966,852 და 11,647,366 ლარის ოდენობით. აუდიტის პროცესში უნივერსიტეტმა ვერ წამოადგინა აღნიშნული კრედიტორული დავალიანების „ჩაშლა“ თითოეული სტუდენტის მიხედვით. უნივერსიტეტის სტუდენტთა მონაცემთა ბაზაში არსებული მონაცემების საფუძველზე აუდიტის ჯგუფმა დაადგინა თვითოეული სტუდენტის მიხედვით კრედიტორული დავალიანების მოცულობა, რომლის ჯამურმა ოდენობამ წლის დასაწყისში და წლის ბოლოს შესაბამისად შეადგინა 3,758,463 და ლარი. აღნიშნული სხვაობები, ძირითადად განპირობებულია იმ გარემოებით, რომ უნივერსიტეტს სტუდენტების მიერ 2014 წელს გადახდილი 2014-2015 შემოდგომის სემესტრის სწავლის გადასახადი მთლიანად

¹² უნივერსიტეტის პასუხისმგებელი პირების განმარტებით ამ დავალიანებებზე ადრეც იყო გაგზავნილი დასტურის წერილები, მაგრამ პასუხი არ მოსვლიათ და 2014 წლის აუდიტის ფარგლებშიც დასტურის წერილების გაგზავნა შედეგს არ გამოიღებდა.

¹³ უნივერსიტეტის ბაზაში აღრიცხულია მხოლოდ 2014 წლის ფინანსური მონაცემები და არ მოიცავს განვლილი პერიოდის მონაცემებს.

¹⁴ უნივერსიტეტის ბაზაში აღრიცხულია მხოლოდ 2014 წლის ფინანსური მონაცემები და არ მოიცავს განვლილი პერიოდის მონაცემებს.

აღრიცხული აქვს როგორც კრედიტორული დავალიანება. ანალოგიური სააღრიცხვო პოლიტიკა გამოიყენებოდა 2013 წელსაც.

ტექნიკურ უნივერსიტეტს ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში(ბალანსი) არ ფიქსირდება სტუდენტების მიერ სწავლის საფასურის ავანსის სახით ჩარიცხვით წარმოშობილი კრედიტორული დავალიანებები, ხოლო სტუდენტების მონაცემთა ბაზის მიხედვით სტუდენტების მიმართ კრედიტორული დავალიანებებმა წლის დასაწყისში და წლის ბოლოს შესაბამისად შეადგინა 1,487,219 და 2,032,441 ლარი. უნივერსიტეტმა ვერ წარმოგვიდგინა საკმარისი მტკიცებულებები არსებული სხვაობების მიზეზების შესახებ.

სამედიცინო უნივერსიტეტს ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში(ბალანსი) არ ფიქსირდება სტუდენტების მიერ სწავლის საფასურის ავანსის სახით ჩარიცხვით წარმოშობილი კრედიტორული დავალიანებები, ხოლო სტუდენტების მონაცემთა ბაზის მიხედვით მხოლოდ პირველკურსელი სტუდენტების მიმართ კრედიტორული დავალიანებების თანხამ შეადგინა დაახლოებით 1,000,000 ლარი. სააღრიცხვო ჩანაწერების¹⁵ ხასიათიდან გამომდინარე აუდიტის ჯგუფმა ვერ შეძლო სტუდენტების მიმართ კრედიტორული დავალიანების სრული ოდენობის დადგენა.

ილიაუნის სააღრიცხვო ჩანაწერების¹⁶ ხასიათიდან გამომდინარე აუდიტის ჯგუფმა ვერ შეძლო საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულების მოპოვება „ხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებების“ საწყის და საბოლოო ნაშთის სისწორის შესახებ რწმუნების მიღების მიზნით.

3. შემოსავლები

3.1.ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები

ტექნიკურ უნივერსიტეტს ფინანსური ანგარიშგების ფორმა N4-ში კლასიფიკაციით „საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია“ საგანმანათლებლო საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლი აღრიცხული აქვს 46,327,569 ლარი. უნივერსიტეტის მიერ აღნიშნული შემოსავლის აღიარება ხდება საგეგმო-საფინანსო განყოფილების მიერ მოწოდებული შემოსავლის საბიუჯეტო პარამეტრის მიხედვით, რომელიც საპროგნოზოა და არა ფაქტიური. რაც არ შეესაბამება საჯარო სექტორში ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შესაბამისობის საფუძვლების მოთხოვნას კერძოდ, შემოსავლები დარიცხვის მეთოდით უნდა იქნეს ასახული, ანუ იმ მომენტში, როდესაც საქმიანობების, ოპერაციების თუ სხვა მოვლენების განხორციელების შედეგად წარმოიქმნება მოთხოვნა. მომსახურებიდან შემოსავლები აისახება მომსახურების გაწევისას¹⁷.

უნივერსიტეტმა ვერ წარმოგვიდგინა საკმარისი და შესაფერისი სააღრიცხვო ჩანაწერები, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი გახდებოდა აღნიშნული არასწორი სააღრიცხვო პოლიტიკის ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენის დადგენა, შესაბამისად ჩვენ ვერ ვადასტურებთ თუ რა ოდენობის ფაქტიური შემოსავალი მიიღო უნივერსიტეტმა 2014 წელს.

¹⁵ უნივერსიტეტის ბაზაში აღრიცხულია მხოლოდ 2014 წლის ფინანსური მონაცემები და არ მოიცავს განვლილი პერიოდის მონაცემებს.

¹⁶ არ არსებობს ერთიანი ბაზა სადაც თითოეული სტუდენტის მიხედვით მოხდება შემოსავლების დარიცხვები და სტუდენტების მიერ სწავლის საფასურის გადახდების აღრიცხვა სემესტრების მიხედვით, სტუდენტის სწავლის პერიოდის განმავლობაში.

¹⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის, მუხლი 9, პუნქტი 13.

სამედიცინო უნივერსიტეტი ფინანსური ანგარიშგების ფორმა N4-ში კლასიფიკაციით „საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია“ საგანმანათლებლო საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლი აღრიცხული აქვს 23,381,114 ლარი. იმის მიუხედავად რომ 2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ვადები გრძელდება 2014 წლის 15 სექტემბრიდან 2015 წლის 7 მარტამდე¹⁸, უნივერსიტეტის მიერ აღნიშნული სემესტრის განმავლობაში საგანმანათლებლო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების აღიარება მთლიანად მოხდა 2014 წელსვე, ანალოგიურად არის აღრიცხული 2013 წლის შემოსავლებიც. იმ შემთხვევაში, როდესაც მომსახურება ხორციელდება ერთზე მეტი საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში და ეკონომიკურ მოვლენებს ადგილი აქვს უწყვეტად, ოპერაციები ასეთი მომსახურებით უზრუნველყოფის მთელი პერიოდის განმავლობაში აისახება. თითოეული პერიოდისათვის მიკუთვნებული მომსახურების ღირებულების განსაზღვრის საფუძვლად აიღება მიწოდებული მომსახურების მოცულობა (რაოდენობა) ან მოთხოვნილი გადახდები¹⁹. ე.ი. შემოსავლების აღიარება უნდა მოხდეს მთლიანი აქტიური სემესტრის²⁰ განმავლობაში თანაბარზომიერად.

სახელმწიფო უნივერსიტეტი ფინანსური ანგარიშგების ფორმა N4-ში კლასიფიკაციით „საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია“ საგანმანათლებლო საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალი აღრიცხული აქვს 48,811,829 ლარი. აუდიტის მიმდინარეობისას უნივერსიტეტმა ვერ უზრუნველყო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში თითოეულ სტუდენტის მიხედვით გაწეული მომსახურების შედეგად მისაღები შემოსავლების შესახებ ინფორმაციის მოწოდება. ამასთან, უნივერსიტეტის მიერ სტუდენტების დაფინანსების (სასაწავლო გრანტების) შემოსავლად აღიარება ხდება საკასო მეთოდით, რაც არ შეესაბამება “ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ” ინსტრუქციის მოთხოვნებს²¹.

საჯარო სექტორში ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შესაბამისობის საფუძვლების მოთხოვნებთან ზემოთ განხილული შეუსაბამოებების ფინანსურ ანგარიშგებაზე შესაძლო გავლენის ეფექტის დადგენის შესაძლებლობის არქონის გამო, აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო რწმუნება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული არაფინანსური აქტივების, ფინანსური აქტივების, ფინანსური ვალდებულებებისა და საანგარიშგებო პერიოდში „საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან“ მიღებული შემოსავლის სისრულეზე, წარმოშობაზე, არსებობაზე, შეფასებაზე, წარდგენაზე და ახსნა განმარტებებზე.

¹⁸ 2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის ვადები 15.09.2014-7.03.2015; საგამოცდო სესია 8.01.2015-11.02.2015; სტუდენტთა საახალწლო-საშობაო არდადეგების ხანგრძლივობა 30.12.2014-7.01.2015.

¹⁹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის, მუხლი 9, პუნქტი 13.

²⁰ უნივერსიტეტის გადაწყვეტილებით, აქტიურ სემესტრად შეიძლება არ ჩაითვალოს 11.02.2015-7.03.2015 პერიოდი, როდესაც სემესტრის საბოლოო გამოცდები უკვე დასრულებულია.

²¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის, მუხლი 35, პუნქტი 1.

პირობითი მოსაზრება

პირობითი მოსაზრების საფუძვლის აზრად აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენის ან შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მოიცავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ნაერთ ბალანსს 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯების, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების, ეკონომიკური საქმიანობით მიღებული სახსრების, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის, ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებებისა და არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის შესახებ ანგარიშგებებს მოცემული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდებისათვის, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით შეესაბამება ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებულ დებულებას, „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციასა და „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანებას.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

1. ანგარიშგების ფორმებს შორის შეუსაბამობა

- ფორმა N5-ში წარმოდგენილი ძირითადი კაპიტალის მოხმარების ღირებულება 29,480,911 ლარი 1,073 ლარით ნაკლებია, ფორმა N2-ში წარმოდგენილ ძირითადი კაპიტალის მოხმარების ღირებულების 22,445,965 ლარისა და ფორმა N4-ში წარმოდგენილ ძირითადი კაპიტალის მოხმარების ღირებულების 7,036,019 ლარის ჯამზე.
- ფორმა N6-ში სატრანსპორტო საშუალებების მიღებები და გასვლები არ შეესაბამება ფორმა N5-ის მონაცემებს, კერძოდ: საანგარიშო პერიოდში სატრანსპორტო საშუალებების მიღება ფორმა N6-ის მიხედვით შეადგენს 704,817 ლარს ხოლო ფორმა N5-ის მიხედვით 763,113 ლარს. ასევე განსხვავდება გასვლებიც, საანგარიშო პერიოდში სატრანსპორტო საშუალებების გასვლა ფორმა N6-ის მიხედვით შეადგენს 774,693 ლარს ხოლო ფორმა N5-ის მიხედვით 385,015 ლარს.

2.სახელმწიფო სასწავლო გრანტი

სამინისტრო სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის თანხის გადარიცხვას ახორციელებს შესაბამისი დაწესებულების საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით, 1 ნოემბრის (სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის შემთხვევაში – 15 ნოემბრის) და 1 აპრილისთვის საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის მონაცემების შესაბამისად. ყოველი გადარიცხვის წინ სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის გადარიცხვის მიზნით სსიპ „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში წარადგენს რეესტრის მონაცემებზე დაყრდნობით, ცალ-ცალკე შექმნილ სიებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მითითებით.

- გამოვლინდნენ ისეთი სტუდენტები, რომლებიც სიაში ორჯერ იყვნენ შეყვანილი (სულ 185 სტუდენტი). შესაბამისად, მოცემული სტუდენტების მიხედვით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს სასწავლო გრანტის თანხა ჩაურიცხა გაორმაგებული ოდენობით. ზედმეტად ჩარიცხული თანხა 207,338 ათას ლარს შეადგენდა.
- გამოვლინდა ფაქტები, როდესაც ხდება იმ სტუდენტების დაფინანსება, რომლებიც დამატებით სემესტრში სწავლობდნენ და აღარ ეკუთვნოდათ 2014-2015 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სასწავლო გრანტის მიღება. 2014 წელს აღნიშნულმა დაფინანსებამ 90 ათას ლარზე მეტი შეადგინა. პასუხისმგებელი პირების განმარტებით ამ თანხის ნაწილი, დაახლოებით 33 ათასი ლარი წარმოადგენს სასწავლო გრანტის თანხას იმ სტუდენტების მიხედვით, რომელთაც 2011-2012 სასწავლო წლის მიხედვით ჰქონდათ „აქტიური“ სტატუსი და მოცემულ პერიოდში ამ თანხის, სასწავლო დაწესებულებებისათვის ჩარიცხვა არ განხორციელებულა. აღნიშნულის დადასტურება ვერ ხერხდება აუდიტის მაშტაბიდან გამომდინარე.

3.წინასწარ დანიშნული დანამატები

- *განათლებისა და მეცნიერების* სამინისტროში, მინისტრის 2014 წლის 3 ოქტომბრის N1097 ბრძანების საფუძველზე, ბრძანების დანართში გათვალისწინებულ 54 საჯარო მოხელეს 2014 წლის განმავლობაში დაუწესდა დანამატი ამავე დანართით გათვალისწინებული ოდენობით.
- სსიპ „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის“ დირექტორის 2014 წლის 3 იანვრის N09-01 ბრძანების მიხედვით, ცენტრის 19 თანამშრომელს ყოველთვიურად დაენიშნათ ფიქსირებული დანამატები თვეში სულ 9,095 ლარის ოდენობით.

4.დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები

სამინისტროს, 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ნაშთად ერიცხებოდა 75,228.6 ათასი ლარის დებიტორული დავალიანება, რომელიც საანგარიშო პერიოდში გაიზარდა 46,989 ათასი ლარით და შეადგინა 122,217.6 ათასი ლარი. დებიტორული დავალიანების ზრდის გამომწვევი ძირითადი ფაქტორი იყო, ის რომ 2014 წლის IV კვარტალში ინფრასტრუქტურის სააგენტომ სკოლებს, უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებლებს ავანსის სახით მათ კერძო საბანკო ანგარიშებზე დიდი ოდენობით თანხები გადაურიცხა და ჯამში წლის ბოლოს აღნიშნულმა გადახდილმა ავანსებმა 39,446.7 ათასი ლარი შეადგინა რაც წინა წლის ანალოგიულ მაჩვენებელთან შედარებით 32,946.6 ათასი ლარით არის გაზრდილი. ასევე ინფრასტრუქტურის სააგენტოში 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კერძო

კომპანიებზე გადახდილმა ავანსებმა 7,937.4 ათასი ლარი შეადგინა რაც წინა წელთან შედარებით 6,240.5 ათასი ლარით არის გაზრდილი.

კრედიტორული დავალიანების ნაშთი 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენდა 30,854.9 ათას ლარს. საანგარიშო პერიოდში დავალიანება გაიზარდა 12,975.7 ათასი ლარით და შეადგინა 43,830.6 ათასი ლარი.

სამინისტროს მიერ აღრიცხული 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები, წარმოშობის წლებისა და კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით, შეგიძლიათ იხილოთ ქვემოთ:

დებიტორული დავალიანების ნაშთი, წარმოშობის წლებისა და კლასიფიკაციის მიხედვით ლარებში. ცხრილი არ მოიცავს მოთხოვნებს არაფინანსური აქტივების დანაკლისებით - 1,261,442 ათასი ლარის ოდენობით

კლასიფიკაციის მუხლი	1996-2002 წ.	2003 - 2009 წ.	2010წ	2011 წ	2012წ	2013წ	2014 წ	სულ
შრომის ანაზღაურება	-	14,469	19	108	95	1,623	53,503	69,817
საქონელი და მომსახურება	910,076	3,640,514	2,182,235	4,193,190	3,971,647	5,418,320	11,131,367	31,447,348
სუბსიდიები	-	135,021	-	-	-	144,958	-	279,979
გრანტები	-	13	65	-	19	280	345	722
სოციალური უზრუნველყოფა	-	4,000	-	-	-	-	605	4,605
სხვა ხარჯები	346	2,582,581	532,550	923,114	1,178,718	7,722,818	64,517,936	77,458,062
არაფინანსური აქტივების შეძენა	20,151	1,303,222	10,126	242,493	21,911	573,999	8,437,291	10,609,193
ფინანსური ვალდებულებები*	-	583,111	-	-	400,000	103,300	-	1,086,411
ს უ ლ:	930,573	8,262,932	2,724,995	5,358,904	5,572,389	13,965,298	84,141,047	120,956,138

*თანხა შედგება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ შპს უნი ინვესტიში კაპიტალის ზრდისგან 2009-2013 წლებში და პროგრამა ცოდნის კარის 32 04 03 05 01 ფარგლებში 2008 წელს გაცემული 572,230 ლარის იაფი კრედიტებისგან.

კრედიტორული დავალიანების ნაშთი. წარმოშობის წლებისა და კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით ლარებში

კლასიფიკაციის მუხლი	1996-2002 წ.	2003-2009 წ.	2010წ	2011 წ	2012 წ	2013 წ	2014 წ	სულ
შრომის ანაზღაურება	132,813	480,095	46,673	-	-	17,466	260,376	937,423
საქონელი და მომსახურება	26,835	205,052	70,922	23,007	78,376	69,658	4,712,101	5,185,951
პროცენტი	-	-	-	-	-	-	-	-
სუბსიდიები	-	-	-	-	-	-	-	-
გრანტები	-	-	-	-	-	317,103	335,487	652,590
სოციალური უზრუნველყოფა	-	-	-	-	-	-	651	651
სხვა ხარჯები	10,745	249,243	89,783	33,341	18,036	3,830,955	32,124,473	36,356,576
არაფინანსური აქტივების შეძენა	5,458	11,741	11,558	42,627	41,499	35,689	270,811	419,382
ფინანსური ვალდებულებები*	-	-	-	-	-	-	277,989	277,989
ს უ ლ:	175,851	946,131	218,935	98,975	137,910	4,270,870	37,981,889	43,830,561

*თანხა შედგება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიერ 2014 წელს ჯანდაცვის სამინისტროსგან 215,984 ლარის ოდენობით აღებული სესხისგან და საგრანტე პროგრამების ვალდებულებებისგან 60,005 ლარის ოდენობით.

ზემოთ მოყვანილ ცხრილებში არ შედის მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ნაერთ ბუღალტრულ ანგარიშგებაში გაერთიანებული საბიუჯეტო ორგანიზაციები, რომლებსაც 2014 წელს ყველაზე დიდი მოცულობით გააჩნიათ დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები წარმოდგენილია ქვემოთ ცხრილის სახით:

2014 წლის დებიტორული დავალიანებების

ორგანიზაციები	დებიტორული დავალიანება
სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო	48,678,508
სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	20,897,561
სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი	17,257,922
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	9,950,874
სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	5,227,305
სულ	102,012,170

2014 წლის კრედიტორული დავალიანებები

ორგანიზაციები	კრედიტორული დავალიანება
სსიპ - ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი	14,021,914
სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	10,285,612
სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	2,864,567
სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი "იბერია"	2,638,587
სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯი	2,163,614
სულ	31,974,294

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღრიცხული დებიტორული დავალიანებიდან საბიუჯეტო დებიტორული დავალიანება შეადგენს 81,619,924 ლარს ხოლო არასაბიუჯეტო 39,336,924 ლარს, ხოლო კრედიტორული დავალიანებიდან არასაბიუჯეტოა 23,471,090 ლარი და საბიუჯეტო კრედიტორული დავალიანება შეადგენს 50,541 ლარს.

5. ელექტრონული პლატფორმის შექმნა

სსიპ „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრსა“ (შემდგომ ცენტრი) და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამას (UNDP) შორის 2014 წლის 15 სექტემბერს გაფორმდა სტანდარტული შეთანხმების წერილი: „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამის ქვეპროექტის - „განათლების ხარისხის ელექტრონული მართვის პროექტი“ - ელექტრონული პლატფორმის შექმნის შესახებ. პროექტი გაყოფილი იყო 2 ფაზად, რომელიც შედგებოდა: I ფაზა 2014 წლის სექტემბრიდან დეკემბრამდე, ხოლო II ფაზა 2015 წლის იანვრიდან მაისამდე²². პროექტის ბიუჯეტი შეადგენდა 177,619 აშშ დოლარს, საიდანაც 120,000 დოლარს აფინანსებდა UNDP (I ფაზა - 100,000დოლარი, II ფაზა-20,000 დოლარი). აღნიშნული ელექტრონული პლატფორმის შექმნისთვის მიზნობრივი გრანტის ფარგლებში 2014 წელს სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე გადმოირიცხა I ფაზის განხორციელებისთვის საჭირო თანხა, რომელიც შეადგენს 173,817.35 ლარს (100,750 დოლარს), რომლის ნაწილის ათვისებაც (20,184.84 ლარის) 2014 წელს ვერ მოხერხდა. დარჩენილი ნაშთიდან

²² 2015 წლის შეთანხმებებით II ფაზის შესრულების ვადა გაგრძელდა ჯერ ოქტომბრის ხოლო შემდგომ 2015 წლის დეკემბრის ბოლომდე.

17,597.04 ლარის ხარჯი გაიწია 2015 წლის იანვრის თვეში, ხოლო 2,587.8 ლარი 2015 წლის თებერვალში გადაირიცხა უკან.

გრანტის ფარგლებში გამოყოფილი თანხა, 2014 წელს გაიხარჯა საბიუჯეტო კლასიფიკაციის შტატგარეშე მომუშავეთა თანამდებობრივი სარგოს მუხლიდან, სულ 153,632.51 ლარის ოდენობით. საკასო ხარჯის 67% (128,238 ლარი) მოდის პროექტის ხელმძღვანელზე და კონსულტანტზე, რომელთანაც 2014 წლის 14 ნოემბერს გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების მიხედვით, შრომის ანაზღაურების ღირებულებად განისაზღვრა 143,074.28 ლარი, ხოლო ვადად 2014 წლის 31 დეკემბერი და ამ შრომითი ხელშეკრულების მიხედვით „ელექტრონული პლატფორმის“ შექმნის ვალდებულება დაეკისრა სწორედ აღნიშნულ პირს.

ელექტრონული პლატფორმის შექმნა გულისხმობდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრისათვის ელექტრონული სისტემების შემუშავებას მათი საქმიანობის ავტომატიზირების მიზნით. გაფორმებული მიღება-ჩაბარებების მიხედვით პროექტის ხელმძღვანელმა შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობა, ასევე წარმოდგენილია კონსულტანტის მიერ ანგარიშები რომელშიც გაწერილია უკვე დაწერილი პროგრამის ძირითადი მახასიათებლები და მოდულები, რომელიც II ფაზის განმავლობაში უნდა დაინერგოს, ასევე საილუსტრაციო წარმოდგენილია პროგრამის ინტერფეისი(ვიზუალური მხარე) სურათების სახით.

აუდიტის პერიოდში არ მომხდარა გრანტის ფარგლებში გათვალისწინებული II ფაზის სამუშაოების დაწყება. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ფაზის ფარგლებში მიღებული მმართველობითი გადაწყვეტილებები შესაბამისობის შესწავლა სცილდება განხორციელებული აუდიტის მამტაბს.

6. ბიუჯეტის დაგეგმვა და შესრულება

სამინისტროში (32 00) 2014 წლის განმავლობაში 17-ჯერ განხორციელდა ხარჯთაღრიცხვის ცვლილებით პროგრამებს შორის თანხების გადანაწილება, საერთო თანხით 36,796 ათასი ლარი, რაც სამინისტროსათვის გამოყოფილი ასიგნების 4.9%-ს შეადგენს.

საანგარიშგებო წლის ბოლოს თანხების ათვისება:

(32 00) „საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება“²³ ქვეპროგრამის (32 05 02) ფარგლებში ხორციელდება საჯარო სკოლებისა და პროფესიული/უმდაღესი სასწავლებლების რეაბილიტაცია. 2014 წლის ბიუჯეტის კანონით აღნიშნული ქვეპროგრამის ასიგნება 68,704 ათასი ლარის ოდენობით განისაზღვრა, მაშინ როცა დაზუსტებულმა გეგმამ 92,821 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ 89,741 ათასი ლარი შეადგინა. 2014 წლის განმავლობაში განხორციელებული ხარჯთაღრიცხვის ცვლილებების ანალიზიდან ჩანს, რომ თანხების უდიდესი ნაწილი (87%) ამ ქვეპროგრამაზე აკუმულირებულ იქნა ნოემბერსა და დეკემბერში იმ პროგრამებიდან, რომელთა ფარგლებშიც უწყების მიერ ვერ მოხერხდა ბიუჯეტის კანონით გამოყოფილი ასიგნებების სრულად ათვისება. შედეგად, აღნიშნული ქვეპროგრამის დაზუსტებული ბიუჯეტის უდიდესი ნაწილი, 2014 წლის მეოთხე კვარტალში, წინასწარი ანგარიშსწორების (ავანსის) სახით ჩარიცხულ იქნა სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებების კომერციულ ბანკებში გახსნილ ანგარიშებზე. კერძოდ, დეკემბრის თვეში ავანსის სახით გადარიცხულმა თანხამ 23,031 ათასი ლარი შეადგინა, მათ შორის 30 დეკემბერს გადარიცხულ იქნა 2,056 ათასი ლარი, ხოლო 31 დეკემბერს 6,712 ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის

²³ აღნიშნული ქვეპროგრამის განმახორციელებელს წარმოადგენს სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“

სააგენტოს მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით, 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღნიშნულ სასწავლო დაწესებულებებზე წინასწარი გადახდებით წარმოქმნილმა დებიტორული დავალიანების ნაშთმა 39,447 ათასი ლარი შეადგინა.

ასიგნებების გადანაწილების უკუპროცესი.

გარკვეულ შემთხვევებში, საანგარიშგებო პერიოდში საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ხორციელდებოდა ასიგნებების გადანაწილების უკუპროცესი. კერძოდ, ადგილი ჰქონდა იმ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე თანხების აკუმულირებას, რომლებიდანაც წლის განმავლობაში ხდებოდა ასიგნებების გადატანა. მაგალითად:

სამინისტროს (32 00) „ზოგადი განათლების“ პროგრამიდან (32 02), რიგი საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და სსიპ „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის“ ლაბორატორიებით აღჭურვის მიზნით, პროგრამაზე „საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია“ (32 05), 2014 წლის 31 დეკემბრის N1510 ხარჯთაღრიცხვის ცვლილებით, გადატანილ იქნა 1,470 ათასი ლარი. თუმცა, იმავე დღეს, N1514 ცვლილებით, 32 02 პროგრამაზე მობილიზებულ იქნა 1,516 ათასი ლარი, მათ შორის 32 05 პროგრამიდან 1,405 ათასი ლარი. აღნიშნული ცვლილებების მიზეზი გახდა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის (N2/კ 1700) ბრძანება, რომლის მიხედვითაც, მაღალმთიან რეგიონებსა და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში არსებული საჯარო სკოლებში დასაქმებული მასწავლებლებისათვის უნდა მომხდარიყო მატერიალური წახალისების გაცემა;

2014 წლის 16 დეკემბრის N1353 ხარჯთაღრიცხვის ცვლილებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (32 00) პროგრამიდან „პროფესიული განათლება“ (32 03) პროგრამაზე „საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია“ (32 05) გადატანილ იქნა 169 ათასი ლარი. თუმცა 22 დეკემბერს აღნიშნულ პროგრამაზე უკანვე იქნა მობილიზებული 198 ათასი და 157 ათასი ლარი, შესაბამისად, „განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვისა“ (32 01) და „ზოგადი განათლების“ პროგრამებიდან (32 02);

(32 00) „განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვის“ პროგრამის (32 01) განხორციელებისათვის საჭირო ყველა მიმდინარე ხარჯის დაფარვის მიზნით, 2014 წლის 19 ნოემბრის ხარჯთაღრიცხვის ცვლილებით (N1202), „ზოგადი განათლების“ პროგრამის (32 02) ასიგნებები შემცირებულ იქნა 240 ათასი ლარით. თუმცა, 16 დეკემბრის ცვლილებით, უკვე 32 01 პროგრამიდან იქნა გადატანილი 470 ათასი ლარი 32 05 პროგრამაზე, რის შედეგადაც, პროგრამის ფარგლებში დარჩენილი რესურსი არასაკმარისი აღმოჩნდა მისი წლის ბოლომდე ფუნქციონირებისათვის. აღნიშნულის გათვალისწინებით, 19 დეკემბრის ცვლილებით N1388, 32 02 პროგრამიდან 32 01 პროგრამაზე კვლავ იქნა გადატანილ საბიუჯეტო სახსრები 53 ათასი ლარის ოდენობით.

სახსრების გადანაწილება სხვადასხვა ქვეპროგრამებზე

რიგ შემთხვევებში, საანგარიშგებო პერიოდში ადგილი ჰქონდა ცალკეული ქვეპროგრამების ფარგლებში აუთვისებელი საბიუჯეტო სახსრების გადანაწილებას სხვადასხვა ქვეპროგრამებზე. მაგალითად:

- „მეცნიერების აღდგენა და განვითარება“ ქვეპროგრამის (32 04 02 05) ფარგლებში 2014 წლის ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული ასიგნებები 20,000 ათასი ლარით განისაზღვრა, თუმცა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საკასო ხარჯი არ გაწეულა და რესურსი გადანაწილდა როგორც „უმაღლესი საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევების პროგრამის“ (32 04) ფარგლებში არსებულ ქვეპროგრამებზე, ისე სხვა პროგრამებში. აღნიშნული ქვეპროგრამის მიზანს წარმოადგენს იმ სამეცნიერო-კვლევითი და უმაღლესი საგანმანათლებლო

დაწესებულებების დაფინანსება, მათ მიერ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებების საფუძველზე, რომლებიც 2009 წლიდან შეუერთდნენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს. საყურადღებოა, რომ სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების მიერ დასაფინანსებელი პროექტების წარდგენა სამინისტრომ 2014 წლის დასაწყისში მოითხოვა, თუმცა წლის განმავლობაში აღნიშნული პროექტების განხილვა ვერ მოხერხდა და სამინისტრომ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს „მეცნიერების აღდგენა და განვითარების“ ქვეპროგრამიდან მხოლოდ მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად გადაუნაწილა 9,845 ათასი ლარი. რამდენადაც სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით ქვეპროგრამის დარჩენილი სახსრების ათვისება ვერ მოხერხდა, 9,167 ათასი ლარი გადატანილ იქნა პროგრამაზე „საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება“ (32 05), საიდანაც გადარიცხულ იქნა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების კომერციულ ბანკებში გახსნილ ანგარიშებზე. აღნიშნული თანხიდან 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ათვისებული დარჩა 8,750 ათასი ლარი. გარდა ზემოაღნიშნული ათვისებლობის პრობლემისა, საყურადღებოა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს „მეცნიერების აღდგენისა და განვითარების“ ქვეპროგრამის დანიშნულება და შინაარსი. კერძოდ, ეს ქვეპროგრამა შინაარსობრივად წარმოადგენს ფონდს, თუმცა არ არსებობს ფორმალურად დამტკიცებული პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავდა აღნიშნული ქვეპროგრამიდან თანხების გამოყოფის წესს, მათ მიზნობრიობას (თუ კონკრეტულად რა ტიპის ხარჯების დაფინანსება უნდა მოხდეს ამ ფონდის რესურსიდან) და აღნიშნული სახსრების ხარჯვის შედეგად მისაღწევ შედეგებს.

- (32 00) პროგრამაზე „პროფესიული განათლება“ (32 03) 2014 წლის ბიუჯეტის კანონით გამოყოფილი ასიგნების ოდენობამ 37,318 ათასი ლარი შეადგინა, თუმცა წლის განმავლობაში განხორციელებული ხარჯთაღრიცხვის ცვლილებებით მისი მოცულობა 12,610 ათასი ლარით შემცირდა, რის შედეგადაც დამტკიცებულ და დაზუსტებულ ასიგნებებს შორის სხვაობამ 34% შეადგინა. აღნიშნული ათვისებული თანხა გადანაწილებულ იქნა „საგანმანათლებლო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის“ პროგრამაზე (32 05)“. სამინისტროს განმარტებით - „პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის და ხარისხის გაუმჯობესების“ ქვეპროგრამის (32 03 01) ფარგლებში დამტკიცებული ასიგნებებიდან (28,650 ათასი ლარი) 20,000 ათასი ლარი გამოყოფილი იყო პროფესიული სასწავლებლების ვაუჩერული დაფინანსებისათვის, რომელიც თავიდანვე მოიცავდა როგორც პროფესიული განათლების ვაუჩერულ დაფინანსებას, ასევე რიგი პროფესიული სასწავლებლების ინვენტარით აღჭურვისა და სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებას“. გაუგებარია, რატომ მოხდა ერთი პროგრამისათვის საჭირო საბიუჯეტო რესურსის დამტკიცება მეორე პროგრამის ასიგნებებში თუ სამინისტროსათვის თავიდანვე იყო ცნობილი აღნიშნული თანხის მიზნობრიობა.

7. შესყიდვები

მონიტორინგის სისტემა

ინფრასტრუქტურის სააგენტოს მიერ განხორციელებული სამშენებლო და სარეაბილიტაციო შესყიდვების მონიტორინგის პროცესში გამოიკვეთა ტენდენცია რომ, შემსყიდველის მიერ რიგ შემთხვევებში არ ხდება შესასყიდი სამუშაოების პროცესზე კალენდარული გეგმა-გრაფიკების წარმოდგენის მოთხოვნა.

სამუშაოების წარმოების ადგილზე მონიტორინგს ახორციელებს ინფრასტრუქტურის სააგენტოს მუდმივი წარმომადგენელი (ტექნიკური ზედამხედველი) და სააგენტოს სამშენებლო სამსახურიდან პერიოდულად მივლინებული კოორდინატორი. ტექნიკური ზედამხედველის მიერ სააგენტოსათვის მიწოდებული სამსახურეობრივი ბარათი არ შეიცავს ინფორმაციას თუ რამდენად დროულად მიმდინარეობს სამუშაოები. კოორდინატორი ვერ უზრუნველყოფს სამუშაოების შესაბამის ვადებში განხორციელების მონიტორინგს. შედეგად, შესრულებული სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულება ხშირ შემთხვევაში ვერ ხორციელდება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში. გეგმა გრაფიკების არ არსებობა შემსყიდველს უზღუდავს წარმოდგენას თუ რა ეტაპზეა სამუშაოთა მიმდინარეობა და რამდენად საფუძვლიანია ანგარიშსწორება გარკვეულ ეტაპზე შესრულებული სამუშაოს მოცულობის გათვალისწინებით.

მაგალითი: 2014 წლის 23 იანვარს გაფორმდა ხელშეკრულება შპს „AGCS Muhendislik Insaat Maden Nakliye Ticaret ve Sanayii LTD. STI“-თან საგარეჯოს მუნიციპალიტეტის, სოფელ ლამბალოს საჯარო სკოლის სამშენებლო მომსახურების შესყიდვაზე. სამუშაოების დასრულების ვადად განისაზღვრა 2015 წლის 16 ივლისი (18 თვე). მხარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტების და ეტაპობრივი ანგარიშსწორების დოკუმენტაციის მიხედვით 2014 წლის 3 ოქტომბრის (8 თვე) მდგომარეობით შესრულებული იყო საერთო სამუშაოების 17,3 %, ამავე წლის 29 დეკემბრის (11 თვე) მდგომარეობით შესრულებული იყო 32,5 % და 2015 წლის 2 აპრილის (14 თვე) მდგომარეობით შესრულებული იყო 40,2%.

ხელშეკრულებების ვადის გაგრძელების დაუსაბუთებლობა

არის შემთხვევები როდესაც სამშენებლო და სარეაბილიტაციო პროექტების შემსრულებლების თხოვნას, სამუშაოების შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ, სააგენტო აკმაყოფილებს მომწოდებლისაგან დამატებითი ვადის მოთხოვნის მიზეზების და მათი საფუძვლიანობის დასაბუთების გარეშე.

მაგალითი: 2014 წლის 30 მაისს ინფრასტრუქტურის სააგენტომ გააფორმა ხელშეკრულება შპს „თელა“-სთან (SPA140010734) ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფლების ფონისა და მაწიმის საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაზე 288,269 ლარის ღირებულებით. სამუშაოების დასრულების ვადად განისაზღვრა 2015 წლის 14 აგვისტო. 2015 წლის 8 აგვისტოს მომწოდებელმა წერილით მიმართა სააგენტოს და მოითხოვა სამუშაოების შესრულების ვადის 20 კალენდარული დღით გაგრძელება კონკრეტული მიზეზების დასახელებისა და მათი დასაბუთების გარეშე. მიუხედავად ამისა, 2015 წლის 15 აგვისტოს სააგენტომ შპს „თელას“-თან გააფორმა N162/03/66-1 შეთანხმება, რის საფუძველზეც მომწოდებელს სამუშაოს შესრულების ვადა გაუგრძელა 20 კალენდარული დღით.

ვადაგაგრძელებული საბანკო გარანტიები

რიგ შემთხვევებში, როდესაც მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში ვერ ახერხებს სამუშაოების დასრულებას და ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე ხელშეკრულებაში შედის ცვლილება დამატებითი ვადების განსაზღვრის შესახებ. მსგავს შემთხვევებში მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს ხელახალი ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია დამატებითი ვადების შესაბამისად. მთელ რიგ შემთხვევებში მიმწოდებლის მიერ არ ხდება შესაბამისი საბანკო გარანტიის წარმოდგენა.

მაგალითი: 2014 წლის 17 ივლისს გაფორმდა ხელშეკრულება შპს „ბეთა“-სთან (SPA1140011676), რომელიც ითვალისწინებდა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ ალავერდის, კლდეეთის, პირველი სვირის და ცხენთაროს საჯარო სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვას. მხარეთა შეთანხმების საფუძველზე ხელშეკრულებაში შესულია ორი ცვლილება. ცვლილება N1(162/03/88-1)-ის საფუძველზე მიმწოდებელს გაუგრძელდა ვადა 20 კალენდარული დღით და მოეთხოვა ვადაგაგრძელებული საბანკო გარანტიის წარმოდგენა 10 კალენდარულ დღეში. ასევე ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება N2(162/03/88-2), რომელიც ასევე ითვალისწინებდა ვადის გაგრძელებას სოფელ ალავერდის, კლდეეთის, პირველი სვირის საჯარო სკოლებში. ხელშეკრულებაში შესული მეორე ცვლილების თანახმად მიმწოდებელს კვლავ მოეთხოვა ვადაგაგრძელებული საბანკო გარანტიის წარმოდგენა 10 კალენდარულ დღეში. საბანკო გარანტიები არ არის წარმოდგენილი.

შესყიდვის ობიექტის არასწორი განსაზღვრა

2014 წლის 8 ოქტომბერს სსიპ „თბილისის ხელოვნების კოლეჯის სარეაბილიტაციო სამუშაოების“ შესყიდვაზე გამოცხადებული ტენდერში (SPA140023582) გაიმარჯვა შპს „საბა კონსტრაქშენმა“, რომელთანაც გაფორმდა ხელშეკრულება ღირებულებით 870 ათას ლარი. კონტრაქტორს 174 ათასი ლარი ავანსის სახით გადაერიცხა 2014 წელსვე. 2015 წლის 23 იანვრის N500291015 დასკვნის საფუძველზე სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურომ აღნიშნული შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოების გაგრძელება ეკონომიურობის თვალსაზრისით მიზანშეწონილად აღარ მიიჩნია, რამდენადაც „შენობის აღდგენის შემთხვევაში საჭირო იქნებოდა დარჩენილი მზიდი კონსტრუქციების აღდგენა-გამაგრებასთან ერთად სეისმომდებლობის პირობების უზრუნველსაყოფად ძვირადღირებული სამუშაოების ჩატარება, რომელიც ითვალისწინებს შენობის მოცულობით-გეგმარების გადაწყვეტის შეცვლას და დამატებით ყველა სართულზე განივი კედლების მოწყობას“. ექსპერტიზის ბიუროს დასკვნის საფუძველზე შეწყდა შესყიდვის ხელშეკრულება და მომწოდებელმა ავანსად მიღებული თანხიდან შემსყიდველს დაუბრუნა 164 ათასი ლარი. გადახდილ ავანსსა და დაბრუნებულ თანხას შორის სხვაობის (10,193 ლარი) გამოქვითვა მოხდა ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მიხედვით, რომელიც ძირითადად შემოიფარგლებოდა სარეაბილიტაციო საწყისი სამუშაოებით, ბათქაშის მოხსნითა და გადახურვების გახსნით.

შესაბამისი სამსახურის მიერ არ მოხდა აღნიშნული შენობის მდგომარეობის ჯეროვანი შესწავლა, რამაც გამოიწვია სახელმწიფო სახსრების არაეფექტურად განკარგვა. შესრულებული სამუშაოების მოცულობა და ღირებულება (10,193 ლარი) დადგინდა მომწოდებლის მიერ წარმოდგენილი შესრულების ფორმებით და არა საექსპერტო შეფასების საფუძველზე. შესაბამისად, აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო რწმუნება 10,193 ლარის ღირებულების სამუშაოების რეალობის თაობაზე.


აუდიტორთა ხელმოწერა:

აუდიტორი



დავით ქურციკიძე

აუდიტორი



ნაია ხოფერია

აუდიტორი



მარიამ ზაალიშვილი

აუდიტორი



ირაკლი დალაქიშვილი

აუდიტორი



თორნიკე მაგნიძე

აუდიტორ ასისტენტი



დავით მესხი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმები

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

ფორმა №1 – ბალანსი

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2014 წლის 31 დეკემბერს

	31.12.2013	31.12.2014
აქტივები		
ფინანსური აქტივები და მოთხოვნები		
ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	7,533	2,799
მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	96,118,029	90,326,648
მიმდინარე ანგარიში ბანკში უცხოურ ვალუტაში	10,578,252	13,683,890
სადეპოზიტო ანგარიში ბანკში	7,725,735	3,660,299
სხვა ანგარიშები ბანკში	13,397,304	18,471,057
დეპოზიტები ხაზინაში ეროვნულ ვალუტაში	43,699	73,333
ხაზინის სავალუტო ანგარიში	391,564	545,992
სხვა ანგარიშები ხაზინაში	2,373,558	3,691,117
მოკლევადიანი სესხები	145,237	206,626
აქციები და სხვა კაპიტალი	514,181	514,181
მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით	9,868	42,814
მოთხოვნები ფულად სახსრებზე და მათ ექვივალენტებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით	25,510,857	29,001,360
გადახდილი დღგ	301,241	1,600,416
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	408,972	717,824
სხვა საგადასახადო აქტივი	640,060	648,164
მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიების მიმართ	2,217,188	1,962,427
მოთხოვნები საქონლის და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	5,940,768	40,450,403
მოთხოვნები აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	7,396,558	10,609,193
მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	1,234,928	1,261,442
ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები	1,913,690	1,298,888
მომუშავეების მიმართ მოთხოვნები	120,541	242,121
მოთხოვნები წინასწარ გადახდილი გადასახდელებით	33,603	24,289
სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	22,300,969	23,868,839
გრძელვადიანი სესხები	633,619	365,604
სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	5,906,245	9,402,989
სულ ფინანსური აქტივები და მოთხოვნები	205,864,199	252,672,715
არაფინანსური აქტივები		
სხვა მატერიალური მარაგები	14,935,341	15,397,305
შენობა-ნაგებობები	545,962,552	621,627,776
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	165,481,234	164,781,500
სხვა ძირითადი აქტივები	8,643,153	8,241,380
დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი	71,221,662	48,984,568
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	8,788,901	19,690,514
ფასეულობები	1,182,855	1,778,650
არაწარმოებული აქტივები	332,162,540	344,160,202
სულ არაფინანსური აქტივები	1,148,378,238	1,224,661,895
სულ აქტივები	1,354,242,437	1,477,334,610

	31.12.2013	31.12.2014
ვალდებულებები და კაპიტალი		
ფინანსური ვალდებულებები და სხვა კრედიტ. დავალიანებები		
მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	147	62,005
მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	2,127,491	1,312,793
აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	4,289,877	419,382
გადასახდელი მოგების გადასახადი	1,358,857	1,744,651
გადასახდელი დღგ	128,781	100,710
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	561,433	263,637
სხვა გადასახდელები	358,123	211,463
ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები შემოსავლების საკასო შესრულებით	10,907	1,155
ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები	5,525,977	21,766,247
შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	1,016,983	278,653
შტატგარეშე მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები	95,851	508,603
ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის შიგნით	15,935	12,497
ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის გარეთ	3,464	18,947
დამქირავებლის მიერ ფულადი ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	5,415	5,650
ვალდებულებები ორგანიზაციის მომუშავეების ხელფასებიდან დაკავებული თანხებით	66,440	3,885
გადასახდელი სტიპენდიები	15,271	8,755
ვალდებულებები დეპონენტების მიმართ	145,827	96,085
სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	15,128,139	16,799,459
გრძელვადიანი ვალდებულებები სესხებით	-	215,984
სულ ფინანსური ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები	30,854,918	43,830,561
კაპიტალი		
წმინდა ღირებულება	1,197,988,933	1,291,444,091
გაუნაწილებელი მოგება	125,398,586	142,059,958
სულ კაპიტალი	1,323,387,519	1,433,504,049
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	1,354,242,437	1,477,334,610
საცნობარო მუხლები		
საოპერაციო იჯარით აღებული ძირითადი აქტივები და მათთან დაკავშირებული დანახარჯები	4,508	1,325,738
პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები	3,059,103	2,998,991
გადახდისუუნარო დებიტორების ჩამოწერილი დავალიანება	617,615	752,855
ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში	17,507,274	16,749,577
საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა	171,610	-
ამორტიზებული ძირითადი აქტივები	36,678,716	40,658,630
ვადგადაცილებული დავალიანებები	30,854,918	43,830,561
ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	111,445,645	114,754,636
განსაკარგავად გადასაცემი მოძრავი ქონება	78,850	47,386

ბალანსის დანართი ფორმა №2 - ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით
საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2014 წლის 31 დეკემბერს

ხარჯების ჩამონათვალი	ბიუჯეტით დამტკიცებული წლიური გეგმით	საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრივი ხარჯი	გადახრა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის
ხარჯები	674,617,000	698,473,545	690,052,889	687,971,749	687,971,752	671,297,538	(16,674,214)
შრომის ანაზღაურება	24,432,400	17,783,941	17,709,268	17,615,630	17,615,630	17,619,004	3,374
თანამდებობრივი სარგო	-	-	14,801,506	14,766,861	14,766,861	14,770,235	3,374
პრემია	-	-	2,723,316	2,671,119	2,671,119	2,671,120	1
დანამატი	-	-	184,446	177,650	177,650	177,649	(1)
საქონელი და მომსახურება	59,321,600	72,238,071	72,836,004	72,148,386	72,148,389	55,011,671	(17,136,718)
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	-	-	25,411,187	25,167,450	25,167,450	25,215,442	47,992
მივლინება ქვეყნის შიგნით	-	-	892,869	860,981	860,981	839,228	(21,753)
მივლინება ქვეყნის გარეთ	-	-	808,115	792,660	792,663	818,928	26,265
ოფისის ხარჯები	-	-	24,985,328	24,904,607	24,904,607	7,520,121	(17,384,486)
წარმომადგენლობითი ხარჯები	-	-	276,260	274,954	274,954	355,022	80,068
კვების ხარჯები	-	-	62,030	62,030	62,030	63,255	1,225
სამედიცინო ხარჯები	-	-	1,737	1,722	1,722	1,723	1
რბილი ინვენტარის, უნიფორმის და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები	-	-	94,308	94,308	94,308	305,858	211,550
ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	-	-	14,564,258	14,394,009	14,394,009	14,395,510	1,501
სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	-	-	5,739,912	5,595,665	5,595,665	5,496,584	(99,081)
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	-	-	-	-	-	22,445,965	22,445,965
სუბსიდიები	20,689,000	27,260,962	32,137,859	31,977,535	31,977,535	33,933,085	1,955,550
გრანტები	637,000	631,350	741,007	741,000	741,000	783,199	42,199
გრანტები საერთაშორისო ორგანიზაციებს	-	-	741,007	741,000	741,000	783,199	42,199
მიმდინარე	-	-	741,007	741,000	741,000	783,199	42,199
სოციალური უზრუნველყოფა	2,479,000	2,606,456	2,567,472	2,553,965	2,553,965	2,553,361	(604)
სოციალური დახმარება	-	-	2,341,000	2,335,830	2,335,830	2,335,830	-
ფულადი ფორმით	-	-	2,341,000	2,335,830	2,335,830	2,335,830	-
დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება	-	-	226,472	218,135	218,135	217,531	(604)
ფულადი ფორმით	-	-	226,472	218,135	218,135	217,531	(604)
სხვა ხარჯები	567,058,000	577,952,765	564,061,279	562,935,233	562,935,233	538,951,253	(23,983,980)
სხვადასხვა ხარჯები	-	-	564,061,279	562,935,233	562,935,233	538,951,253	(23,983,980)
მიმდინარე	-	-	524,030,883	523,220,820	523,220,820	528,935,059	5,714,239
კაპიტალური	-	-	40,030,396	39,714,413	39,714,413	10,016,194	(29,698,219)

მონაცემები შტატით და შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობის შესახებ				
მაჩვენებელთა დასახელება	სახელმწიფო ბიუჯეტით		არასაბიუჯეტო	
	წლიური გეგმით	ფაქტიურად	წლიური გეგმით	ფაქტიურად ²⁴
შტატით მომუშავეთა რიცხოვნობა	2194			
შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა				

ბალანსის დანართი ფორმა №2-1 - ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ
საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2014 წლის 31 დეკემბერს

არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
არაფინანსური აქტივები	79,683,000	51,008,709	50,878,476	48,554,567	48,554,567
ძირითადი აქტივები	-	-	50,878,321	48,554,412	48,554,412
შენობა-ნაგებობები	-	-	41,536,855	39,277,055	39,277,055
არასაცხოვრებელი შენობები	-	-	41,536,855	39,277,055	39,277,055
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	-	-	8,857,362	8,793,423	8,793,423
სატრანსპორტო საშუალებები	-	-	2,702	2,702	2,702
სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	-	-	8,854,660	8,790,721	8,790,721
სხვა ძირითადი აქტივები	-	-	484,103	483,934	483,934
არამატერიალური ძირითადი აქტივები	-	-	484,103	483,934	483,934
არაწარმოებული აქტივები	-	-	155	155	155
მიწა	-	-	155	155	155

ბალანსის დანართი ფორმა №2-2 - ორგანიზაციის ანგარიში ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ
საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2014 წლის 31 დეკემბერს

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩამონათვალი	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
ვალდებულებები	-	4,640,496	4,590,547	4,586,356	4,586,356
საშინაო	-	-	4,590,547	4,586,356	4,586,356
სხვა კრედიტორული დავალიანებები	-	-	4,590,547	4,586,356	4,586,356

²⁴ პასუხიშემგებელი პირების განმარტებით მომუშავეთა რიცხოვნობა ანგარიშგებაში ტექნიკური (ექსელის პროგრამული ხარვეზი) მიზეზის გამო არ არის მითითებული, რაც სამინისტრომ 2015 წლის 23 ივლისს დააზუსტა და გაუგზავნა ფინანსთა სამინისტროს.

ბალანსის დანართი ფორმა №3 - ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ
საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2014 წლის 31 დეკემბერს

დებეტი	თანხა	კრედიტი	თანხა
ნაშთი პერიოდის დასაწყისისათვის	-	ნაშთი პერიოდის დასაწყისისათვის	1,197,988,933
მომუშავეთა ანაზღაურება	17,619,004	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	741,112,675
საქონელი და მომსახურება	55,011,671	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება პენსიებისა და დახმარებების გასაცემად	-
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	22,445,965	შემოსავლები	47,771,103
მ.შ. ფიზიკური ცვეთა	22,445,965	მ.შ. გრანტები	3,837,499
პროცენტი	-	სამინისტროს პროგრამული დაფინანსება, მ.შ.	39,897,651
სუბსიდიები	33,933,085	ინფრასტრუქტურის	3,236,708
გრანტები	783,199	ადგილობრივი ბიუჯეტი	341,047
სოციალური უზრუნველყოფა	2,553,361	ჯარიმა, საჯარო ინფორმაციის	263,249
სხვა ხარჯები	538,951,253	სხვა წყაროდან	194,949
აქტივების უსასყიდლოდ გასვლა, ვალდებულებების უსასყიდლოდ მიღება	119,571,291	აქტივების უსასყიდლოდ მიღება, ვალდებულებების უსასყიდლოდ გასვლა	111,699,789
ფინანსური აქტივები	-	ფინანსური აქტივები	-
ფინანსური ვალდებულებები	-	ფინანსური ვალდებულებები	-
არაფინანსური აქტივები	119,571,291	არაფინანსური აქტივები	111,699,789
სხვა ეკონომიკური ნაკადები	6,145,518	სხვა ეკონომიკური ნაკადები	11,015,316
ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები შემოსავლების საკასო შესრულებით*	3,350,066	ფინანსური	199,755
ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები*	17,779,312	არაფინანსური	10,815,561
სადებეტო ბრუნვა	818,143,725	საკრედიტო ბრუნვა	911,598,883
სულ ჯამი:**	818,143,725	სულ ჯამი:***	2,109,587,816
ნაშთი პერიოდის ბოლოს	-	ნაშთი პერიოდის ბოლოს	1,291,444,091

* აღნიშნულ სტრიქონზე აღირიცხება საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მიღებული შემოსავლებიდან და სხვა შემოსულობებიდან ბიუჯეტის კუთვნილი თანხები

** სადებეტო ნაშთს წლის დასაწყისისათვის ემატება სადებეტო ბრუნვა

*** საკრედიტო ნაშთს წლის დასაწყისისათვის ემატება საკრედიტო ბრუნვა

ბალანსის დანართი ფორმა №4 - ანგარიში ეკონომიკური საქმიანობით მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ
საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2014 წლის 31 დეკემბერს

დასახელება	გეგმით	საკასო	ფაქტიური
ფულადი სახსრების ნაშთი წლის დასაწყისისთვის		61,464,410	
გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალის ნაშთი წლის დასაწყისისთვის			125,398,586
შემოსულობები			
საოპერაციო შემოსავლები	-	242,548,290	244,196,682
გრანტები	-	16,399,501	15,531,129
სხვა შემოსავლები	-	226,148,789	228,665,553
შემოსავლები საკუთრებიდან	-	3,856,819	4,244,344
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	-	211,623,187	214,127,959
სანქციები, ჯარიმები, საურავები	-	592,505	585,396
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა	-	2,414,656	2,571,529
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	-	7,661,622	7,136,325
შემოსულობები	-	1,325,614	-
ფინანსური აქტივების კლება	-	325	-
ვალდებულებების ზრდა	-	1,325,289	-
სულ საოპერაციო შემოსავლები და შემოსულობები	-	243,873,904	244,196,682
გადასახდელები			
საოპერაციო ხარჯები	-	224,705,949	225,228,017
ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით	-	224,705,949	225,228,017
შრომის ანაზღაურება	-	115,868,116	116,116,673
საქონელი და მომსახურება	-	90,516,810	89,315,834
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	-	-	7,036,019
სუბსიდიები	-	278,442	278,442
გრანტები	-	3,069,857	2,819,621
სოციალური უზრუნველყოფა	-	347,402	347,549
სხვა ხარჯები	-	14,625,322	9,313,879
გადასახდელები	-	19,351,266	-
არაფინანსური აქტივების ზრდა	-	18,081,543	-
ძირითადი აქტივები	-	17,953,034	-
მატერიალური მარაგები	-	128,509	-
ფინანსური აქტივების ზრდა	-	375	-
საშინაო	-	375	-
საგარეო	-	-	-
ვალდებულებების კლება	-	1,269,348	-
საშინაო	-	1,269,348	-
საგარეო	-	-	-
სულ საოპერაციო ხარჯები და გადასახდელები	-	244,057,215	225,228,017
არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები			
არასაოპერაციო შემოსავლები	-	4,548,606	5,451,094
კურსთა შორის სხვაობით მიღებული შემოსავალი	-	4,548,606	4,564,590
არაფინანსური აქტივების უსასყიდლოდ მიღება	-	-	877,780
ფინანსური აქტივების უსასყიდლოდ მიღება	-	-	8,724
არასაოპერაციო ხარჯები		3,512,531	4,332,070
კურსთა შორის სხვაობით მიღებული ზარალი		3,512,531	3,480,974
არაფინანსური აქტივების უსასყიდლოდ გასვლა			93,175
ფინანსური აქტივების უსასყიდლოდ გასვლა			757,921
მოგების გადასახადი			3,426,317
ნაშთი წლის (კვარტლის) ბოლოს		62,317,174	142,059,958

არაფინანსური აქტივების დასახელება	ნაშთი 31.12.2013	მიღება											
		შესყიდვა წინა წლების აგანსების შემცირებით	შესყიდვა მიმდინარე პერიოდის	ბარტერით	იმავ დონის სახელმწიფო ერთეულიდან უსასყიდლოდ	არასაოპერაციო შემოსავლებით	გრანტებით	სხვა შემოსავლებით	სხვა ეკონომიკური ნაკადებით	საკუთარი სახსრებით	კაპიტალის შეჩმნა	დანაკლისის აღდგენით	*სხვა მიღებები
მატერიალური მარაგები	14,935,341	98,834	17,784,649	-	4,510,188	142,694	7,724	10,843	504,029	229,839	-	986,850	
სხვა მატერიალური მარაგები	14,935,341	98,834	17,784,649	-	4,510,188	142,694	7,724	10,843	504,029	229,839	-	986,850	
ნედლეული და მასალები	1,715,507	2,342	3,299,820	-	9,353	2,375	-	-	21,661	6,006	-	50,571	
დაუმთავრებელი წარმოება	68,242	-	209,747	-	-	-	-	-	-	7,250	-	46,736	
მზა პროდუქცია	2,341,984	-	2,363,447	-	-	39,424	-	1,887	-	213,980	-	342,844	
შემდგომი რეალიზაციისათვის შემცენილი საქონელი	267,857	-	161,795	-	-	-	-	266	-	-	-	4,945	
ფულადი დოკუმენტები	476,357	-	976,335	-	1,809	-	-	-	1,086	-	-	15	
სათადარიგო ნაწილები	249,122	-	308,720	-	-	-	-	-	-	-	-	12	
სხვა დარჩენილი მატერიალური მარაგები	9,816,272	96,492	10,464,785	-	4,499,026	100,895	7,724	8,690	481,282	2,603	-	541,727	
ძირითადი აქტივები	791,308,601	1,276,296	77,246,867	-	91,396,513	622,298	133,364	206,490	4,290,438	917,904	3,155	3,233,701	
შენობა-ნაგებობები	545,962,552	169	5,998,048	-	80,827,187	-	-	738	4,011,084	704,768	-	350,169	
საცხოვრებელი შენობები	4,634,174	-	138,573	-	1,794,728	-	-	-	-	-	-	19,211	
არასაცხოვრებელი შენობები	528,520,820	169	5,610,959	-	77,611,946	-	-	738	4,000,004	675,150	-	246,475	
გზები	35,210	-	-	-	66,216	-	-	-	-	-	-	-	
გვირაბები	404,332	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	
საკანალიზაციო და წყლის მომარაგების სისტემები	272,231	-	16,336	-	214,685	-	-	-	-	-	-	-	
ელექტროგადამცემი ხაზები	106,787	-	4,300	-	-	-	-	-	-	-	-	-	
მილსადენები	8,306	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	
სხვა შენობა-ნაგებობები	11,980,692	-	227,880	-	1,139,612	-	-	-	11,080	29,618	-	84,483	
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	165,481,234	1,274,097	29,841,959	-	10,418,798	620,500	133,364	205,162	183,127	24,897	3,155	2,394,419	
სატრანსპორტო საშუალებები	6,290,511	-	234,016	-	349,570	2,880	-	123,017	32,700	-	3,155	17,775	
სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	159,190,723	1,274,097	29,607,943	-	10,069,228	617,620	133,364	82,145	150,427	24,897	-	2,376,644	
სხვა ძირითადი აქტივები	8,643,153	2,030	2,827,571	-	132,026	1,798	-	590	96,227	-	-	20,989	
კულტივირებული აქტივები	432,762	-	14,889	-	28,281	-	-	-	72,006	-	-	17,066	
არამატერიალური ძირითადი აქტივები	8,210,391	2,030	2,812,682	-	103,745	1,798	-	590	24,221	-	-	3,923	
დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი	71,221,662	-	38,579,289	-	18,502	-	-	-	-	188,239	-	468,124	
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	8,788,901	-	38,720,877	39,237	6,406,717	46,863	5,293	29,700	358,811	-	-	223,314	
ფასეულობები	1,182,855	-	-	-	-	65,925	-	-	530,400	-	-	-	
მვირფასი ქვები და ლითონები	1,101,061	-	-	-	-	65,925	-	-	530,400	-	-	-	
ხელოვნების ნიმუშები	72,446	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	
სხვა ფასეულობები	9,348	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	
არაწარმოებული აქტივები	332,162,540	-	6,655	-	9,386,371	-	-	-	5,131,883	-	-	101	
მიწა	332,154,022	-	6,655	-	9,386,371	-	-	-	5,131,883	-	-	101	
წიაღისეული	4,896	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	
არაწარმოებული არამატერიალური აქტივები	3,622	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	

არაფინანსური აქტივების დასახელება	გ ა ს ვ ლ ა												ნაშთი 31.12.2014
	ბაჟი დევიტ	იმავე დონის სახელმწიფო ერთეულებზე უსასყიდოდ	არასაოპერაცი ო ხარჯები	ხელფასები სასაქონლო ფორმით	დანაკლისით	სხვა ხარჯებით	სხვა ეკონომიკური ნაკადებით	საკუთარი სახსრებით	კაპიტალის შექმნა	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	საქონელი და მომსახურებ თ	*სხვა გასვლები	
მატერიალური მარაგები	514,083	3,246,811	3,711	17,014	2,758	7,722	44,585	21,582	-	19,329,266	626,154	15,397,305	
სხვა მატერიალური მარაგები	514,083	3,246,811	3,711	17,014	2,758	7,722	44,585	21,582	-	19,329,266	626,154	15,397,305	
ნედლეული და მასალები	-	12,102	-	-	1,092	-	2,297	-	-	2,786,198	399,914	1,906,032	
დაუმთავრებელი წარმოება	-	-	-	-	-	-	-	-	-	228,360	52,615	51,000	
მზა პროდუქცია	263,015	23,978	-	17,014	-	-	-	21,582	-	1,876,934	20,370	3,080,673	
შემდგომი რეალიზაციისათვის შეძენილი საქონელი	249,946	4,398	-	-	-	7,722	-	-	-	12,609	56,821	103,367	
ფულადი დოკუმენტები	-	15,315	149	-	-	-	-	-	-	1,050,682	76	389,380	
სათადარიგო ნაწილები	-	144	-	-	-	-	-	-	-	287,023	104	270,583	
სხვა დარჩენილი მატერიალური მარაგები	1,122	3,190,874	3,562	-	1,666	-	42,288	-	-	13,087,460	96,254	9,596,270	
ძირითადი აქტივები	-	89,132,726	85,868	-	11,967	738	4,056,188	-	29,480,911	-	4,232,005	843,635,224	
შენობა-ნაგებობები	-	3,037,577	-	-	-	-	3,121,841	-	9,457,547	-	609,974	621,627,776	
საცხოვრებელი შენობები	-	246,776	-	-	-	-	2,210	-	87,274	-	78,780	6,171,646	
არასაცხოვრებელი შენობები	-	1,414,827	-	-	-	-	3,084,260	-	8,820,740	-	450,392	602,896,042	
გზები	-	-	-	-	-	-	-	-	14,933	-	-	86,493	
გვირაბები	-	-	-	-	-	-	-	-	4,301	-	-	400,031	
საკანალიზაციო და წყლის მომარაგების სისტემები	-	2,024	-	-	-	-	-	-	50,607	-	-	450,621	
ელექტროგადამცემი ხაზები	-	-	-	-	-	-	-	-	6,374	-	-	104,713	
მილსადენები	-	-	-	-	-	-	-	-	177	-	-	8,129	
სხვა შენობა-ნაგებობები	-	1,373,950	-	-	-	-	35,371	-	473,141	-	80,802	11,510,101	
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	-	25,341,110	73,753	-	11,967	-	924,856	-	18,924,040	-	523,486	164,781,500	
სატრანსპორტო საშუალებები	-	279,149	64,848	-	-	-	35,324	-	1,200,862	-	5,694	5,467,747	
სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	-	25,061,961	8,905	-	11,967	-	889,532	-	17,723,178	-	517,792	159,313,753	
სხვა ძირითადი აქტივები	-	14,655	12,115	-	-	-	9,491	-	1,099,324	-	2,347,419	8,241,380	
კულტივირებული აქტივები	-	7,246	12,115	-	-	-	1,400	-	10,414	-	16,104	517,725	
არამატერიალური ძირითადი აქტივები	-	7,409	-	-	-	-	8,091	-	1,088,910	-	2,331,315	7,723,655	
დაუმთავრებელი ძირითადი აქტივი	-	60,739,384	-	-	-	738	-	-	-	-	751,126	48,984,568	
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	-	24,664,949	3,596	-	626	-	22,168	-	-	9,893,360	344,500	19,690,514	
ფასეულობები	-	-	-	-	-	-	-	-	530	-	-	1,778,650	
ძვირფასი ქვები და ლითონები	-	-	-	-	-	-	-	-	530	-	-	1,696,856	
ხელოვნების ნიმუშები	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	72,446	
სხვა ფასეულობები	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	9,348	
არაწარმოებული აქტივები	-	2,526,805	-	-	-	-	-	-	543	-	-	344,160,202	
მიწა	-	2,526,805	-	-	-	-	-	-	-	-	-	344,152,227	
წიაღისეული	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	4,896	
არაწარმოებული არამატერიალური აქტივები	-	-	-	-	-	-	-	-	543	-	-	3,079	

ბალანსის დანართი ფორმა №5-1 - ორგანიზაციის ანგარიში ეკონომიკური ნაკადების შედეგად
ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილების შესახებ
საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2014 წლის 31 დეკემბერს

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დასახელება	მოგება ფლობიდან კრედიტი	ზარალი ფლობიდან დებეტი	აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებებით ზრდა	აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებებით კლება
ფინანსური აქტივები	44,069	12,212	4,833	1,925,214
ვალუტა დეპოზიტები	44,069	11,629	4,833	-
აქციები და სხვა კაპიტალი	-	583	-	4,543
სხვა დებიტორული დავალიანებები	-	-	-	1,920,671
ფინანსური ვალდებულებები	1,074	34,826	149,779	50,325
ვალუტა და დეპოზიტები	1,074	34,826	-	-
სხვა კრედიტორული დავალიანებები	-	-	149,779	50,325

ბალანსის დანართი ფორმა №6 - ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე
საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2014 წლის 31 დეკემბერს

ანალიზური აღრიცხვის მონაცემები																		
დასახელება	საანგარიშო პერიოდის დასაწყისში		საანგარიშო პერიოდში მიღება				საანგარიშო პერიოდში გასვლა				საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (საკასო)				საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (ფაქტიური)			
			შეძენა		სხვა სახით მიღება		ექსპლუატა ციიდან გასული		სხვა სახით გასული									
	რაოდენობა	ნარჩენი ღირებულება	რაოდენობა	ღირებულება	რაოდენობა	ღირებულება	რაოდენობა	ღირებულება	რაოდენობა	ღირებულება	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ.სათადარიგ ო ნაწილები	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ.სათადარიგ ო ნაწილები
სატრანსპორტო საშუალება სულ	942	6,290,511	6	154,356	62	550,461	1	-	41	774,693	2,306,004	440,310	1,583,165	282,529	2,339,907	441,686	1,631,877	266,344
მათ შორის																		
მსუბუქი	318	2,096,358	5	120,356	13	203,220	-	-	17	309,927	1,422,550	282,891	995,953	143,706	1,444,551	282,651	1,026,111	135,789
ჯიპები და პიკაპები	83	1,788,241	-	-	11	124,801	-	-	13	299,275	508,894	82,084	353,919	72,891	511,770	81,910	357,265	72,595
სამგზავრო																		
სატრანსპორტო საშუალებები	162	898,664	-	-	5	85,528	-	-	2	54,199	235,336	37,946	149,141	48,249	251,033	39,736	161,144	50,153
სატვირთო	379	1,507,248	1	34,000	33	136,912	1	-	9	111,292	139,224	37,389	84,152	17,683	132,553	37,389	87,357	7,807